ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეჩხუმი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საინფორმაციო გამოცემა №8 (66) ივლისი, 2023 წელი

პრემიერ-მინისტრის სტუმრობა ცაგერში

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ცაგერში ცენტრალური ბაზრის ტერიტორია, დავით აღმაშენებლის ქუჩა და სკვერი დაათვალიერა. მთავრობის მეთაური ადგილზე ცაგერის მოსახლეობას შეხვდა და გაესაუბრა.

ცაგერში აღნიშნული პროექტები პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამის „განახლებული რეგიონები"-ს ფარგლებში განხორციელდა.

აშენდა ახალი აგრარული ბაზრის თანამედროვე სტანდარტების შენობა.

ცაგერში დასრულდა ლადო ასათიანის სახელობის სკვერის და რუსთაველისა და კოსტავას ქუჩებზე არსებული 17 შენობის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში, მოეწყო სკვერის საფეხმავლო ბილიკები, დაიგო ქვაფენილი, დამონტაჟდა დამატებითი გარე განათება, განახლდა რეკრეაცია, შენობების ფასადები, ვიტრაჟები, საფეხმავლო ზოლი და მიმდებარე სახლების ღობეები.

ცაგერში სამუშაოები ჩატარდა სამ ეტაპად, პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოებზე დაიხარჯა 5,031,885 ლარი, ხოლო მესამე ეტაპის სამუშაოებზე დამატებით იგეგმება 1,0 მლნ ლარის ინვესტირება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**, ცაგერში, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტ **სტეფანეს** შეხვდა.

მიტროპოლიტმა მთავრობის მეთაურს ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის რეზიდენციაში უმასპინძლა.

მიტროპოლიტმა სტეფანემ პრემიერ-მინისტრი დალოცა და წარმატებები უსურვა.

მთავრობის მეთაურმა ცაგერში მეუფე სტეფანესთან ერთად წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის მშენებარე ტაძარი დაათვალიერა. უძველესი ტაძრის აღდგენა ორი წელია მიმდინარეობს. ძველი ტაძრის ნანგრევების აღდგენის პარალელურად მიმდინარეობს ტაძრისა და ეზოს სამშენებლო და მოპირკეთების სამუშაოები.

პრემიერ-მინისტრთან ერთად ადგილზე მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, **ლერი ბარნაბიშვილი**, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ღვინის ფესტივალზე

წელს პირველად, რაჭა-ლეჩხუმის ღვინის მეორე ფესტივალი ქალაქ ცაგერში ჩატარდა.

ღვინის ფესტივალი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქალაქ ცაგერში გაიმართა. რაჭა-ლეჩხუმის პირველ ფესტივალს, გასულ წელს ქალაქმა ამბროლაურმა უმასპინძლა.

წელს, ფესტივალში რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის დიდი, საშუალო და მცირე 65 მარანი მონაწილეობდა. მათ საკუთარი პროდუქცია ფესტივალის სტუმრებს, ასევე ევროპის ქვეყნებიდან მონვეულ სავაჭრო ქსელების წარმომადგენლებს, სომელიეებსა და იმპორტიორებს, ასევე ქართველ ექსპორტიორებს წარუდგინეს.

ფესტივალს რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული – **პაპუნა მარგველიძე** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე – **იური ნოზაძე**, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე – **ლევან მეხუზლა**, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი **ლევან ზალკალიანი**, საკრებულოს თამჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი**, მერის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები დაესწრნენ. მათ, სხვა გამომსვლელებთან ერთად, სიტყვით მიმართეს ფესტივალის სტუმრებს და გაეცნენ ადგილობრივი მარნების პროდუქციას.

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ღვინის მასტერკლასები, მოეწყო სხვადასხვა სახის აქტივობები რეგიონის გასტრონომიული ტრადიციებისა და ეთნო კულტურის წარმოსაჩენად, ფესტივალი საზეიმო კონცერტით დასრულდა.

რაჭა-ლეჩხუმის ღვინის ფესტივალის მხარდამჭერები არიან ასევე სოფლის განვითარების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახური, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატის – **გოჩა ენუქიძის** ბიურო, ამბროლაურის, ცაგერის, ონისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიები.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალისთვის მზადების ფარგლებში, მიმდინარე წლის აპრილში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, რაჭა-ლეჩხუმის ღვინის მწარმოებლებს შესაძლებლობა მიეცათ გაევლოთ ერთკვირიანი პროფესიული სასწავლო კურსი, სადაც მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს დარგის სპეციალისტებისგან შემდეგ. საკითხებზე: მევენახეობის საფუძვლები, ვენახების კადასტრი, საექსპორტო დოკუმენტაციის მომზადება, ღვინის ეტიკეტირება, მარკეტინგი, სერტიფიცირება და სხვა. აღნიშნული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მცირე მარნების განვითარებისთვის.

საკრებულოში

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა (7.07.2023 წელი). სხდომა გახსნა და დღის წესრიგი გააცნო დეპუტატებს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ჭაბუკი ჭაბუკიანმა**.

მიღებულ იქნა **დადგენილებები**:

• „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მიღებულ იქნა **განკარგულებები**:

• ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქ. ცაგერში, თამარ მეფის ქ. №28-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული პოლიციის ყოფილი შენობის (ს/კ-89.03.22.014) გასაქირავებელი ფართის – 37.52 კვ.მ. კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით – იჯარით გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

• „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიეტის საკრებულოს 2023 წლის 1 მარტის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

პროექტს „მთის განვითარების ფონდი“ ახორციელებს

ცაგერის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სოფელ ზოგიში – ცაგერას შიდა სასოფლო გზის პირველი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ჩამონაშალი ლოდებისგან გაიწმინდა და გაფართოვდა გზის სავალი ნაწილი.

გზაზე იგეგმება არმირებული ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი ადგილზე დაათვალიერეს სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ **ალუდა თუთისანმა**, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა **ლევან ზალკალიანმა**, მერის პირველმა მოადგილემ **მამუკა ხიმშიაშვილმა**, საკრებულოს თავმჯდომარემ **ჭაბუკი ჭაბუკიანმა**.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებაა 997 999 ლარი.

პირველი ეტაპის სამუშაოები აგვისტოს ბოლოს უნდა დასრულდეს.

პროექტი „მთის განვითარების ფონდის“ დაფინანსებით ხორციელდება.

მონიტორინგის მიზნით

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ სურმუშში დასრულების პროცესში შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შესრულებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ალუდა თუთისანი**, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების და კოორდინირების სამსახურის უფროსი **ლევან ცხვედიანი**, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი **ლევან ზალკალიანი**, მერის პირველი მოადგილე – **მამუკა ხიმშიაშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი**, მოადგილეები **რეზო ხეცურიანი** და **მარიკა კოპალიანი**.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 471 053 ლარია.

პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

თათბირი მერიაში

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის მერმა **ლევან ზალკალიანმა**, მოადგილეებთან – **მამუკა ხიმშიაშვილთან** და **რევაზ ახვლედიანთან** ერთად, სამუშაო თათბირი გამართა.

თათბირს ესწრებოდნენ მერის წარმომადგენლები ტერიტორიულ ერთეულებში, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.

თათბირზე განიხილეს ტერიტორიულ ერთეულებში არსებული ზოგადი მდგომარეობა, მიმდინარე ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროექტები, არსებული გამოწვევები.

დაიწყო „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, მოსახლეობის მიერ, შერჩეული პროექტების განხორციელება. ხელმძღვანელებმა ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიიღეს წარმომადგენლებისგან.

მერმა კონკრეტული დავალებები გასცა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექცია თემაზე:

„პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები საქართველოს ტერიტორიაზე“

წილხვდომილობის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, ცაგერის კულტურის ცენტრის დარბაზში, საპატრიარქოს ეგიდით, პროფესორმა **ვალერი ვაშაკიძემ** მუნიციპალიტეტის საზოგადოების წარმომადგენლების წინაშე წაიკითხა საინტერესო ლექცია თემაზე: „პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები საქართველოს ტერიტორიაზე“.

მან ისტორიულ ჭრილში წარმოადგინა მოკლე ექსკურსი ძვ.წ.აღ.-დან შუა საუკუნეების პერიოდამდე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი **ლევან ზალკალიანი**, მოადგილეებთან **მამუკა ხიმშიაშვილთან** და **რევაზ ახვლედიანთან** ერთად, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მარიკა კოპალიანი**, ადგილობრივი და სტუმარი სასულიერო პირები.

სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

სოფელ კენაშში სოფლის შიდა და ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

2 თებერვალს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განსახორციელებელ პროექტად, სოფლის საერთო კრებაზე, მოსახლეობის მიერ სოფელ კენაშის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია შეირჩა.

კენაშში სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

პროექტის განხორციელების პროცესს ადგილზე გაეცნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი **ლევან ზალკალიანი**, მერის პირველი მოადგილე **მამუკა ხიმშიაშვილი**, თემის წარმომადგენლები.

აქცენტი გაკეთდა სამუშაოების შესრულების ხარისხზე.

სოციალურ საკითხთა საბჭოს სხდომაზე

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში, მუნიციპალიტეტში მცხოვრები „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს“ მორიგი სხდომა გაიმართა, რომლის თავმჯდომარეა მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**.

სხდომაზე განიხილეს ცაგერის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

- შ.შ.მ. პირებისთვის სპეციალური ადგილების გამოყოფა სამარშრუტო ტაქსებსა და ავტოსადგურებზე.
- შ.შ.მ. ქალთა უფლებების დაცვის მუდმივად მეთვალყურეობის შესახებ.
- შ.შ.მ. პირთა ბაზის განახლება.

იგეგმება სხვადასხვა ღონისძიება მუნიციპალიტეტში მცხოვრები შ.შ.მ. პირების შესაძლებლობების უკეთესი რეალიზებისათვის.

სოფელ ქულბაქში ახალი საბავშვო ბაღი შენდება

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქულბაქში აქტიურად მიმდინარეობს ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის პროცესი.

მიმდინარე სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **მამუკა ხიმშიაშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარემ **ჭაბუკი ჭაბუკიანმა**, მოადგილეებთან ერთად.

სამუშაოები რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს.

პროექტის ღირებულება 498 114 ლარია.

ახალი ბაღის შენობა თანამედროვე სტანდარტებით ხელს შეუწყობს სწავლა-აღზრდის პროცესის კომფორტულ გარემოში განხორციელებას.

შენობის რეაბილიტაცია დასრულდა

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორბელში დასრულდა საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შესრულებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ალუდა თუთისანი**, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების და კოორდინირების სამსახურის უფროსი **ლევან ცხვედიანი**, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი **ლევან ზალკალიანი**, მერის პირველი მოადგილე – **მამუკა ხიმშიაშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი**, მოადგილეები **რეზო ხეცურიანი** და **მარიკა კოპალიანი**.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 209 780 ლარია.

პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

სასწავლო წლის დაწყებისას საბავშვო ბაღი ახალი ინვენტარით იქნება აღჭურვილი.

კულტურის ცენტრში მაყურებლის კონცერტით თვისტვინობა

ცაგერის კულტურის ცენტრში, ამავე ცენტრის ორგანიზებით, საზაფხულო კონცერტი გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კულტურის ცენტრთან არსებული, ლეჩხუმელებისთვის საყვარელი ანსამბლები: „სალაღობო“, „ხვამლი“, „მერდინი“ და ინდივიდუალური შემსრულებლები, ბავშვები.

კონცერტზე მაყურებლის წინაშე წარდგნენ ქორეოგრაფიული ანსამბლები: „ლეჩხუმი“ და „ახალი თაობა“.

საღამოს უძღვებოდა კულტურის ცენტრის დირექტორი **დარეჯან საღინაძე**.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**, განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი **გოგი კვირიკაშვილი**, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე **ონისე ჩაკვეტაძე**.

ამოქმედდა საზაფხულო ბაღები

ქალაქ ცაგერის №1 და №2 საბავშვო ბაღებში პროგრამა „საზაფხულო ბაღები“ ამოქმედდა.

ზაფხულის არდადეგებთან დაკავშირებით საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი პირველ ივლისს შეწყდა.

აღსაზრდელთა მშობლების ერთი ნაწილის განცხადების საფუძველზე ქალაქის ორივე

საბავშვო ბაღში ამოქმედდა პროგრამა „საზაფხულო ბაღები“.

ორივე ბაღში შეიქმნა თითო შერეული სააღმზრდელო ჯგუფი, სასწავლო სააღმზრდელო პროცესი პირველ აგვისტომდე გაგრძელდება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანმა** და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **მარიკა კოპალიანმა** ორივე ბაღი მოინახულეს, ადგილზე გაეცნენ ბაღებში არსებულ მდგომარეობას და სააღმზრდელო დაწესებულებების პირობებს.

აქცენტი გაკეთდა შესრულების ხარისხსა და ვადებზე

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ სურმუშში აქტიურად მიმდინარეობს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (პირველი ეტაპი).

პროექტი ითვალისწინებს საავტომობილო გზაზე არმირებული ბეტონის საფარის მოწყობას.

პროექტის განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მოსახლეობისათვის.

მიმდინარე სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა **ლევან ზალკალიანმა**, მერის პირველმა მოადგილემ, **მამუკა ხიმშიაშვილმა**, საკრებულოს თავმჯდომარემ, **ჭაბუკი ჭაბუკიანმა**.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 471 053 ლარია.

სამუშაოებს ანარმოებს შ.პ.ს. „ჯეო როუდ ინვესტი“.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა აქცენტი სამუშაოების შესრულების ხარისხსა და ვადებზე გააკეთეს.

სამუშაოები ივლისის ბოლოს უნდა დასრულდეს.

პროექტი რეგიონების განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

და ვიმღეროთ ასე ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქ ცაგერში, ტურიზმის ცენტრის ღია სივრცეში, საბავშვო სიმღერების ავტორის, პოეტის, პედაგოგის **ნუკრი კარკაძის** შემოქმედების 20 წლის იუბილე აღინიშნა სლოგანით – „და ვიმღეროთ ასე ერთად“.

ორგანიზატორები გახლდნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ა/ა/იპ „ქალთა, ბავშვთა უფლებების ცენტრი“ **(მარინე სვანიძე, იზა ხეცურიანი)** და ცაგერის საჯარო სკოლა, მხარდამჭერი – ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია.

მონაწილეობდა 35 ბავშვი რამდენიმე სხვადასხვა სკოლიდან.

შედგა სიმღერის (ნათია მიქაძე) და კლიპის (გულნაზ გოლეთიანი) პრემიერა.

ღონისძიებას ესწრებოდა და ლეჩხუმს პირველად სტუმრობდა ყველასთვის საყვარელი კომპოზიტორი, ცოცხალი ლეგენდა, ქალბატონი **მარიკა კვალიაშვილი**.

ღონისძიებაზე უკრავდა ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის სიმებიანი ორკესტრი, ფორტეპიანოსთან – კესო ზვიადაძე.

სტუმრებს შორის გახლდნენ კომპოზიტორები: მარინა ლეკიშვილი და ნანა იამანიძე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ექსპერტი, დოქტორი რუსუდან თაყაიშვილი, ხონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი, სტუდია „ოქროს ხმების“ დამაარსებელი ედუარდ გეგუჩაძე.

ყველა მონაწილე ბავშვი მსმენელის წინაშე ნუკრი კარკაძის სიმღერით წარდგა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მარიკა კოპალიანი**, ლეჩხუმის საზოგადოება.

ბავშვობის დაუვიწყარი წლების მოგონების ერთი ლამაზი დღე



იშვიათთაგანი – ასე შეიძლება ვუწოდოთ ღონისძიებას, რომელიც 15 ივლისს ლეჩხუმის განათლების მუზეუმში შედგა. ცაგერის საშუალო სკოლის 1980 წლის კურსდამთავრებულებს 60 წელი შეუსრულდათ და ეს თარიღი სწორედ აქ ერთად აღნიშნეს. გასაკვირი არ ყოფილა, რომ იგი ერთ-ერთი მათგანის **ნინო კოპალიანის** დაბადების დღეს დაემთხვა.

ამ დღისთვის ისრაელიდან სპეციალურად ჩამოვიდა მათი კლასელი ლელა მეგრელიშვილი.

იუბილარს გადაეცა მუზეუმისთვის დედა ქეთევანის მიერ საჩუქედ გადმოცემული წიგნი „წმინდსი ნინო ემბაზი ქართლისაი“. როცა ჩაცხრა ერთად თავმოყრის სიხარულის თვალში ჩამდგარი ცრემლი, მუზეუმის ხელმძღვანელმა ქალბატონმა იზო ხვადაგიანმა იუბილარებს შესთავაზა გერმანული ენის გაკვეთილი, რომლის თემად აირჩიეს გოეთე და მისი შემოქმედება. გაკვეთილის თემა გახლდათ მისი ბრწყინვალე ლექსი მარადიულ ღირებულებებზე „მგზავრის ღამის სომღერა“. „მოსწავლეებმა“ გაიხსენეს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი მომენტები და კარგად დაუკავშირეს

დღევანდელობას. რა თქმა უნდა, „თითოეული მოგონება ბავშვობის დაუვიწყარ წლებთან იყო დაკავშირებული... იყო როგორც სიხარულის, ისე სულისშემძვრელი მწუხარების ცრემლებიც... მაგრამ იყო რწმენაც უკეთესი ხვალინდელი დღისა... „60-იანელებმა“ ძალზეთბილი ჩანაწერები გააკეთეს შთაბეჭდილებათა წიგნში.

ეს მუზეუმი მხოლოდ განათლების ისტორია კი არა,ლეჩხუმის ისტორიაცაა, გარკვეული თვალსაზრისით, ვინაიდან ამ ადამიანების უკან მარტო სკოლა კი არაა, მათ უკანაა ოჯახები, შთამომავლობა, მეგობრები.

ჩიტო ჩაკვეტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნიციპალური პირველობა ფეხბურთში

საქართველოს ფეხბურთის სამოყვარულო ასოციაციის, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მხარდაჭერით, განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ხვამლის“ ორგანიზებით, გაიმართა მოყვარულთა ლიგის მუნიციპალური პირველობა ფეხბურთში.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ოთხმა გუნდმა.

ნახევარფინალურ შეხვედრებში ასეთი შედეგები დაფიქსირდა

„ხვამლი“ ცაგერი – „მართვე“ ლასურიაში – 2:2 (პენალტებში 4:3)

„სიბიკარი“ ქვედა ცაგერი – „ლაშიჭალა“ ორბელი – 0:0 (პენალტებში 3:2)

ფინალურ შეხვედრაში

„სიბიკარმა“ ანგარიშით – 3:1 დაამარცხა „ხვამლი“

და გახდა მოყვარულთა ლიგის 2023 წლის მუნიციპალური ჩემპიონი. გამარჯვებულ და მეორე ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ საპატიო თასი, შესაბამისი ხარისხის დიპლომები და ფულადი პრიზები.

ღონისძიებაზე სპეციალური პრიზი დააწესა ა(ა)იპ ახალგაზრდობის ცენტრმა, რომელიც გადაეცა „ხვამლის“ გუნდის წამყვან მოთამაშეს **მიშიკო ყურაშვილს**.

შეჯიბრებას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი **ლევან ზალკალიანი**, მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი**.

სპორტულ სკოლაში ასპარეზობა გაიმართა

ცაგერის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი: **კობა ქომეთიანი,** თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელები: **მალხაზ მახარობლიძე** და **თორნიკე ბურჯალიანი**) ორგანიზებით გელა ხვადაგიანის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა საქართველოს ჩემპიონის, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულის და პრიზიორის, ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორის ალუდა სილაგაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.

ღონისძიებების მხარდამჭერები იყვნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო.

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ ამბროლაურის, ონის, ბაღდათის, ქუთაისის და ცაგერის გუნდები.

ჩვენი მუნიციპალიტეტის გუნდმა, რომელიც ლაჯანურის ხეობის მოზარდი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული წარმატებით იასპარეზა მოიპოვა გუნდური პირველი ადგილი.

წონითი კატეგორიის მიხედვით ჩემპიონები გახდნენ:

ანდრია ურთმელიძე, ომარ გორგოშაძე, ნიკოლოზ ურთმელიძე, ცოტნე სილაგაძე, ზურაბ ლაკვეხელიანი. ასევე, მოპოვებული იქნა 3 – მეორე და 6 – მესამე ადგილი.

ცაგერის გუნდს გადაეცა შეჯიბრების მთავარი პრიზი ალუდა სილაგაძის სახელობის თასი. გამარჯვებულ და საპრიზო ადგილზე გასულ მოზარდ ფალავნებს გადაეცათ პრიზები, შესაბამისი ხარისხის მედლები და სიგელები.

უცხოეთში მოღვაწე სახელოვანმა ლეჩხუმელმა, ცნობილმა სპორტსმენმა თორნიკე სვანიძემ ტურნირის გამარჯვებული მოჭიდავეებისათვის დააწესა ფულადი პრიზი.

წარმატებული საქმიანობის გამო სპორტული სკოლის მწვრთნელებს მალხაზ მახარობლიძეს და თორნიკე ბურჯალიანს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მიერ გადაეცათ მწვრთნელის სერტიფიკატები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში **ბექა ლომთაძე**, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი**, მოადგილეები **რეზო ხეცურიანი** და **გიორგი გუგავა**, მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**, მერიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი **გიორგი კვირიკაშვილი**, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვსნელი **ირაკლი სილაგაძე**, საპატიო ლეჩხუმელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **მერაბ ხვადაგიანი** ჭიდაობის მესვეურები და სპეციალისტები.

ალუდა სილაგაძის სახელობის ტურნირი ტრადიციული გახდა და ყოველწლიურად გაიმართება.

გაზეთი აიწყო, დაჯაბადონდა და დაიბეჭდა
ი/მ ბაჯარი ჯილაძის მიერ.
მის: ქ. ქუთაისი, აკ. წერეთლის ქ. №186

სარედაქციო კოლეგია:
თამარ დავითულიანი, მზევინარ ძნელაძე,
ეკა ბენდელიანი, ირმა მუშკუდიანი

რედაქციის მისამართია:
ცაგერი, რუსთაველის ქ. №61
ტელ: 551 50 81 50; 598 95 91 11